

# კინგსის ქართული ენის ოლიმპიადა

## I ტური

### მე-10 კლასი

#### I სავარჯიშო - შემოხაზეთ სწორი პასუხი ა, ბ ან გ (60 ქულა)

- რას ეწოდება ფუძის კუმშვა?
  - ფუძიდან ხმოვნის ამოვარდნას;
  - ერთ-ერთი ფუძისეული ხმოვნის ასიმილაციას;
  - ფუძის ბოლოკიდური ხმოვნის ჩამოშორებას;
- კუმშვა ხდება?
  - მხოლოდითი რიცხვის ნათესაობითა და მოქმედებით ბრუნვაში;
  - მხოლოდითი რიცხვის მიცემითში, ნათესაობითა და მოქმედებით ბრუნვაში;
  - მხოლოდითი რიცხვის ნათესაობით, მოქმედებითა და ვითარებით ბრუნვაში და მთელ ებ-იან მრავლობითში.
- რომელი სიტყვის ფუძეა კუმშვად-კვეცადი?
  - გოდორი;
  - ღრუბელი;
  - ბეგარა;
- რომელ წინადადებაშია გამოყენებული კვეცადი სახელი?
  - რუს ჩურჩული ესმოდათ ჩიტებს.
  - მათ სახლში დრო ნელა გადიოდა.
  - მტკვრის ხეობას ხშირად მიმართავდა მეფე.
- ჩამოთვლილთაგან რომელ ბრუნვას დაერთვის თანდებული?
  - სახელობითს;
  - მოთხრობითს;
  - წოდებითს;
- რომელი თანდებული არ არის მიცემითი ბრუნვისა?
  - შუა;
  - ზე;
  - კენ;
- ჩამოთვლილთაგან რომელი თანდებულისა არსებითი სახელია მოქმედებით ბრუნვაში?
  - მთიდან;
  - მთისთვის;
  - მთისკენ;
- რამდენი მწკრივია პირველ სერიაში?
  - სამი;
  - ორი;
  - ექვსი;
- რომელია უწყვეტლის მწკრივის ფორმა?
  - დავდივარ;
  - დავფიქრდი;
  - ვფიქრობდი;
- რომელი მწკრივის ფორმაა დამსიზმრება?
  - I თურმეობითის;
  - უწყვეტლის;
  - წყვეტილის;
- რომელ ფორმაშია ძირი, წარმომქმნელი აფიქსი და ბრუნვის ნიშანი სწორად გამოყოფილი?
  - სამ-შვილ-დე;
  - სა-მშვილდ-ე;
  - სამ-შვილდ-ე;
- რომელი სიტყვაა მხოლოდ ბოლოსართით ნაწარმოები?
  - მზიანი;
  - უბედური;
  - საოცნებო;
- რომელ სიტყვას არ ეწარმოება მრავლობითი რიცხვი?
  - სასანთლე;
  - ჯოგი;
  - სათვალე;
- რომელ წინადადებაშია კომპოზიტი სწორი ფორმით?
  - დიღმელები მხრებ-გაშლილები დადიან.
  - ჩემი სოფლის შესასვლელში დიდი რცხილაა გამხმარი და ტოტებ ჩამოლენილი.
  - ისიც კი ვერ შევძელი, რომ ჩემი მამულ-დედულისთვის მიმეხედა.
- რომელი წინადადებაში არაა შეცდომა?
  - ეს სახელი დიდათ საამაყოთ არ ჟღერს.
  - პრეზიდენტს სათანადოდ დაუფასებია ეს სიმამაცე.
  - ცივათ და ჩუმათ იყურებიან მიტოვებული სახლის დარაბები.
- რომელი არაა მცდარი ფორმა?
  - წამ და წამ;
  - ყურ -დაგრძელებული;
  - სახლის ქვეშ;
- რომელია არასწორი შესიტყვება?
  - შოთას გაუგზავნია;
  - დომენტს დაუგეგმავს;
  - თეას წაუკითხავს;

18. რომელია მართებული ფორმა?

ა) ასე;

ბ) ესე;

გ) აგრე;

19. ნაწილაკი არის:

ა) ფორმაუცვლელი და დამხმარე მეტყველების ნაწილი;

ბ) ფორმაუცვლელი და სრულმნიშვნელოვანი მეტყველების ნაწილი

გ) ფორმაცვალებადი და დამხმარე მეტყველების ნაწილი;

20. რომელი არ არის მაცალკავებელი კავშირი?

ა) რომ;

ბ) ან-ან;

გ) ხან-ხან;

## II სავარჯიშო - შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (30 ქულა)

21. ჩამოთვლილთაგან რომელია წინადადების არამთავარი წევრები?

ა) უბრალო დამატება, განსაზღვრება, გარემოება;

ბ) ქვემდებარე, შემასმენელი, პირ.დამატება, ირ. დამატება;

გ) შემასმენელი, პირ.დამატება, გარემოება;

22. ქვემდებარის ბრუნვებია:

ა) სახელობითი და მიცემითი;

ბ) სახელობითი და მოთხრობითი ;

გ) სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი;

23. წინადადების რომელი წევრია ხაზგასმული სიტყვა? „ბიჭმა შესანიშნავად დაუკრა კონცერტზე.“

ა) ქვემდებარე ;

ბ) გარემოება;

გ) უბ.დამატება;

24. წინადადების რომელი წევრია ხაზგასმული სიტყვა? „ქმარ-შვილის მოლოდინში დედამ გვიან დაიძინა.“

ა) განსაზღვრება;

ბ) უბრალო დამატება;

გ) შემასმენელი;

25. რომელ წინადადებაშია გამოყენებული მაპირისპირებელი კავშირი?

ა) ან ისწავლე, ან იმუშავე, რომ თავი ირჩინო.

ბ) სვენებ-სვენებით მიდიოდა და თან ფიქრს მისცემოდა.

გ) მიყვარხარ, მაგრამ მაინც ვეღარ გენდობი.

26. რომელ წინადადებაშია გამოყენებული შედგენილი შემასმენელი?

ა) მარინე გულიანად იცინოდა.

ბ)“სისულელეა ყოფნა ეულად და ფიქრის იყო მარტო მშველელი.“

გ) თითქოს ყველგან გაიღვიძა სიცოცხლემ.

27. რომელია სწორად დაწერილი მსაზღვრელ-საზღვრული?

ა) ბატონ არჩილის;

ბ) ბატონი არჩილის;

გ) ბატონ არჩილით;

28. რომელ წყვილშია შეთანხმება?

ა) მზის სახლი;

ბ) მზით დატკბა;

გ) პირმოცინარი მზე;

29. რომელ წყვილშია მართვა?

ა) ცის კაბადონი;

ბ) ზღვისფერი ცა;

გ) ცისფრად უქარგავდა.

30. რომელ წყვილშია მირთვა?

ა) ლაღად გაზრდილი;

ბ) ლაღი ბუნება;

გ) შვილი კაცისა;

## III სავარჯიშო - შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (10 ქულა)

31. რომელი საუკუნით თარიღდება იაკობ ცურტაველის „მუშანიკის წამება“?

ა) მე-8 საუკუნით;

ბ)მეხუთე საუკუნით;

გ) მეექვსე საუკუნით;

32. რომელი საუკუნის ჰაგიოგრაფიული ძეგლია „აბო თბილელის წამება“?

ა) V საუკუნის II ნახევრის;

ბ)VI საუკუნის;

გ) VIII საუკუნის;

33. შემოხაზეთ მართებული მნიშვნელობა ფრაზეოლოგიზმისა - „გულის მოგება“

ა) მლიქვნელობა;

ბ) თავის შეყვარება;

გ) ცუდად გახდა;

34. შემოხაზეთ მართებული მნიშვნელობა ფრაზეოლოგიზმისა - „მოქართულე“

ა) ქართულის მოყვარული;

ბ) ტრადიციული;

გ) ქართულის კარგი მცოდნე;

35. რას ნიშნავს სიტყვა - „მედგრობა“ ძველ ქართულში?

ა) სიზარმაცეს;

ბ) სიძლიერეს;

გ) ქედმოუხრელობას;